ბიზნესი და ვიზუალიზაცია

DOI:10.36962/ECS105/11-12/2023-146

ჟანა თოლორდავა
ეად, თსუ-ის იმიტაციური მოდელირებისა
და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების
საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო
ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელი
tolordava@hotmail.com

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოეთხოვებათ სწავლებისადმი ახალი მიდგომების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული, კომუნიკაციური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

გლობალური ეკონომიკის პირობებში უნივერსიტეტების ძირითად ამოცანად რჩება სპეციალისტების ისეთი გენერაციის მომზადება, რომელიც შეძლებს გარდაქმნილი სამყაროს და მსოფლიოში პერმანენტულად მიმდინარე ცვლილებების მართვას. სწორედ ამიტომ უმაღლესმა სკოლამ სერიოზულად უნდა მოეკიდოს ახალი ფორმაციისთვის სპეციალისტების მომზადებას, განსაკუთრებით მენეჯმენტის, მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ბიზნესის სფეროში, რათა უნივერსიტეტდამთავრებულებმა შეძლონ ადაპტირება ცვალებად სამყაროსადმი. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ქმედითი მეთოდია ვიზუალიზაცია.

ვიზუალიზაცია (ლათ. visualis) არის ციფრული ინფორმაციის ან ფიზიკური მოვლენის წარმოდგენის მეთოდი, რომელიც იძლევა ვიზუალური დაკვირვებისა და ანალიზისთვის მოსახერხებელი ფორმით გამოყენების საშუალებას. გარკვეულ წილად, ეს ირიბად გვაძლევს საშუალებას უკვე გვქონდეს გამოცდილება იმის შესახებ, რისი მიღწევაც გვინდა [1] .

საკვანძო სიტყვები: ვიზუალიზაცია, ვიდეოტრენინგები, ვი-

დეოკეისები, საილუსტრაციო-თემატიკური შინაარსის ვიდეოფირები, ფორსაიტინგი.

ძირითადი ტექსტი

ვიზუალიზაცია არის წარმოსახვითი სურათების შექმნა, საკუთარი თავის წარმოდგენა სიტუაციაში, როდესაც თქვენი მიზნები უკვე მიღწეულია. ითვლება, რომ ამ მომენტში ქვეცნობიერება ამოქმედდება და ტვინი, განურჩევლად ადამიანის ნებისა და ქმედებისა, იწყებს სწრაფვას სასურველისკენ.

დიდ მნიშვნელობას ვიზუალიზაციას ანიჭებენ ფსიქოლოგები. მათი რჩევით ვიზუალიზაცია უნდა განხორციელდეს შემდეგი მიზნებისთვის :

- ახალი უნარების შესწავლა;
- რთული მიზნების მიღწევა;
- კონტროლისა და თავდაჯერებულობის მოპოვება;
- სიმშვიდის შენარჩუნებისთვის სტრესის დროს;
- ახალი გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავება.

ფსიქოლოგებმა კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ ვიზუალიზაცია საქმიანობის პოზიტიური შედეგების დემონსტრირებით, ტრენინგის მონაწილეებს საკუთარი მიზნების მიღწევაში ეხმარება. ეს ხელს უწყობს ერთგვარი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას. ცნობილია, რომ წარმატებული ადამიანების უმეტესობა ჯერ საკუთარ თავში გაიაზრებს წარმატებისკენ მიმავალ გზას, რისთვისაც ის ირჩევს მუშაობის მიმართულებას, ადგენს თუ რა დაბრკოლებების გადალახვა მოუწევს მას და როგორ გააკეთებს ამას ის. ასეთი მიდგომა ეხმარება მას რეალური შედეგების მიღწევაში. მხოლოდ ამის შემდეგ ის ნერგავს თავის გეგმას, პროექტს [2].

მონაცემების ვიზუალიზაცია მიიღწევა სხვადასხვა გზით, ესენია ხაზოვანი ან გაფანტული გრაფიკები, ნახატები, დიაგრამები, პიქტოგრამები, ჰისტოგრამები, ტეგების ღრუბელი, რუქები, ბლოკ-სქემები, და ზოგადად სურათები, რაც ბიზნესში ინფორმაციის სისტემატიზაციისა და გაანალიზების, ლოგიკური კავშირების დადგენისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

თანამედროვე პირობებში, როდესაც მოთხოვნა ბიზნეს - ანალიტიკაზე სულ უფრო იზრდება და ის გახდა საწარმოთა მართვის თანამედროვე კულტურის განუყოფელი ნაწილი, აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს სწრაფი ანალიზის ჩატარებას. სპეციალისტები თვლიან, რომ: „როდესაც დრო არის ყველაზე ღირებული რესურსი ბიზნეს ორგანიზაციების განვითარებასა და კონკურენტულ ბრძოლაში, ვიზუალიზაცია ხდება მენეჯერის ერთ-ერთი აუცილებელი თვისება“ [3].

ბიზნეს ანალიტიკა ანუ ბიზნეს ინტელექტი (BI) არის პროგრამული შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს მიიღონ მონაცემები, გააანალიზონ და მიიღონ ქმედითი ინფორმაცია ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად.

BI აერთიანებს ბიზნეს ანალიტიკას, მონაცემთა მოპოვებას, მონაცემთა ვიზუალიზაციას, მონაცემთა ინსტრუმენტებსა და ინფრასტრუქტურას და საუკეთესო პრაქტიკას, რათა დაეხმაროს კომპანიებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში მიმდინარე და ისტორიული მონაცემების ჩვენებით მათი ბიზნეს კონტექსტში. ანალიტიკოსებს შეუძლიათ გამოიყენონ BI, რათა უზრუნველყონ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, დაადგინონ ბაზრის ტენდენციები გაყიდვების ან შემოსავლების გაზრდის კუთხით.

კომპანიებსა და ორგანიზაციებს აქვთ პრობლემები და მიზნები. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ბიზნეს ანალიტიკოსები აგროვებენ აუცილებელ მონაცემებს, აანალიზებენ და განსაზღვრავენ რა ღონისძიებები უნდა განახორციელონ მათ თავიანთი მიზნების მისაღწევად [4] .

დღეს, როდესაც ქვეყნის განვითარების მიმართულებით დიდი ადგილი ეთმობა სპეციალისტის მომზადებასა და კადრების შერჩევაში კომპეტენციურ მიდგომას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სცენარულ პროგნოზირებას, დიდ მნიშვნელობას იძენს ვიზუალიზაცის ისეთი საშუალებები, როგორიცაა ვიდეოფილმები, ვიდეოტრენინგები, საილუსტრაციო-თემატიკური შინაარსის ვიდეოფირები და ვიდეოკეისები, სადაც ასახუ-

ლია კონკრეტული სიტუაციის გარჩევა და რეალური ობიექტის, სისტემის დემონსტრირება. ასევე დიდი როლი ენიჭება ფორსაიტინგს, რომელიც წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური და ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ექსპერტულ შეფასებას, ტექნოლოგიური მიღწევების იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ეკონომიკასა და საზოგადოებაზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში..

ვიზუალიზაციის მოტანილი მეთოდების დათვალიერება და გამოყენება საშუალებას იძლევა საგნებს შორის კავშირების უკეთ გაგებას, მთლიანობის ერთიანად აღქმასა და ყურადღების გამახვილებას კონკრეტულ ნაწილებზე, საერთო ხედვის დაკარგვის გარეშე; გარკვეული გაგებით, ეს ირიბად გვაძლევს საშუალებას უკვე გვქონდეს გამოცდილება იმის შესახებ, რისი მიღწევაც გვინდა.

გარდა ამისა ვიზუალიზაცია გარკვეულ წილად ეხმარება და სტიმულს აძლევს ახალბედა და გამოცდილების მქონე ბიზნესმენებსაც კი პერსონალის ჩართვაში საკუთარ ბიზნეს-სტრატეგიებში, უნარების გამომუშავებისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ზრდის თვალსაზრისით. ამ მიზნით ვიდეოტრენინგებში შემოღებულ იქნა თანამედროვე სამეწარმეო საქმიანობის და მისი პრაქტიკული ბლოკების, ამოცანებისა და იმიტაციური მოდელების სახით ვიდეოფილმები და ვიდეოჩანაწერები [5].

ბიზნეს-განათლების დროს სტუდენტები სწავლობენ მიზნების დასმის, მისი მიღწევის მეთოდებს და მიღებული გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების განსაზღვრას. აქ არსებით როლს თამაშობს რეალურ პრაქტიკასთან მიახლოების მიდგომა, ანუ რაციონალური გადაწყვეტილებათა ძიება რეალური პრაქტიკული სიტუაციის მაგალითზე, რომელიც შესაძლებელია შეხვდეს სპეციალისტს ბიზნეს საქმიანობაში.

სპეციალისტები ბიზნეს-სწავლებაში იყენებენ ბიზნეს-ტრენინგების ვიზუალიზაციას, ბიზნეს დაგეგმვის კონტექსტში - სტრატეგიული სესიების, თათბირების, ბიზნეს- გადაწყვეტი-

ლებების, მოლაპარაკებების, ბიზნეს -პროცესების ვიზუალიზაციას.

ვიდეოტრენინგი ვიზუალიზაციის კიდევ ერთი მიმართულებაა, როდესაც ხდება ვიზუალური დემონსტრირება იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დარგში, თუ არ მიექცა დროული ყურადღება ეკოლოგიურ პრობლემებს და არ შემუშავდა არსებული სიტუაციის ტრანსფორმაციის შესაძლო ვარიანტების რეალისტური პროგნოზი.

ამის მაგალითია საქმიანი თამაში "საკოორდინაციო კომისია", რომელიც გადაიღო საქართველოს ტელევიზიამ და მის მიერ იქნა დემონსტრირებული არაერთხელ თავის არხზე, ვიდეოჩანაწერის სახით ეს ფირი ნაჩვენებია გარემოს დაცვისა და მშვიდობის მსოფლიო UNEP- UNESCO-ს კონგრესზე, გერმანიაში, იტალიასა და ბელგიაში შესაბამისად საეთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებზე.

ამ იმიტაციურ ექსპერიმენტში, სადაც მონაწილეობენ თსუ-ს ეკონომიკის და ბიოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები, მოცემულია შემდეგი სიტუაცია: პირობითად განვითარებად რეგიონში განლაგებულია მრავალი სამრეწველო-ინდუსტრიული ობიექტი: რეგიონის მთავარი საარსებო და ამავდროულად ეკოლოგიის თვალსაზრისით დამაბინძურებელი წყარო. თამაშში იმიტირებულია გადაწყვეტილების მიღების რთული პროცედურა, რომელიც ეკისრებათ მონაწილეებს, სხვადასხვა თანამდებობის პირების როლის შემსრულებლებს, ვისაც რეალურ ცხოვრებაში აქვთ ამის უფლება. ეს გადაწყვეტილებაა - რეგიონის განვითარების მაქსიმალურად ხელსაყრელი ვარიანტის შერჩევა მისი სამეურნეო და გარემოს დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ვიდეფილმში ნაჩვენებია დისკუსია, განვითარების ვარიანტების გადარჩევის პროცედურა, სადაც რეგიონის ხელმძღვანელობის, ინდუსტრიული განვითარების მომხრეებს და ეკოლოგებს შორის არსებობს დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია. საბოლოოდ ირჩევა ყველაზე მისაღები ვარიანტი: ეკონომიკურად რაციონალური და ეკოლოგიურად დასაშვები.

ჰოლანდიაში უტრეხტის უნივერსიტეტში სოციოლოგიის

ფაკულტეტზე შექმნილია მთელი რიგი ვიდეოკეისებისა, რომლებიც ასახავენ პიროვნების სოციალურ ადაპტაციას, წარმოების სოციალური რეზერვების ძიებისა და მათი გამოყენების გზებს, ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას, სოციალური დაცვის მექანიზმის მოქმედებას და სხვა. ამ შემთხვევაში ვიზუალიზაციის ობიექტია საწარმოს მმართველობითი, ორგანიზაციული სოციალურ -ეკონომიკური საქმიანობის ასპექტები. ყოველივე ეს წარმოადგენს სწავლების აუცილებელ საგანს მენეჯერისათვის, ვინაიდან ეს საკითხები მისი საქმიანი აქტივობის, ბიზნესის დაგეგმვის, ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

ფრიად მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ვიდეოფირზე გადაღებული კონსალტინგის პროცესის იმიტირება ეკონომოკისა და სახელმწიფო ადმინისტრირების დარგში, სადაც განიხილება სამთავრობო გადაწყვეტილებები. წამყვანი აკეთებს კომენტარს იმის შესახებ თუ რა მასშტაბები მიიღო საზოგადოების უკმაყოფილებამ მიღებული კანონების, პროგრამებისა და ცალკეული გადაწყვეტილებების გამო. ამ შემთხვევაში სხვადასხვა დარგის კონსულტანტ-ექსპერტები საკუთარი პროფესიული კომპეტენციიდან გამომდინარე ცდილობენ ცოდნის ცალკეული სფეროები დაუკავშირონ არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მაკრო- და მიკროეკონომიკურ დონეზე. ფაქტობრივად ისინი აანალიზებენ მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, აფიქსირებენ ყურადღებას მის პოზიტიურ მხარეებზე და უარყოფითის დროს სთავაზობენ არსებული სიტუაციის მოგვარების კონკრეტულ გზებს. სიუჟეტის წამყვანი, ამ მაგალითის გამოყენებით ხაზს უსვამს სამთავრობო დონეზე კონსალტინგის ფუნქციონირების მნიშვნელობას ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და მთავრობის რეიტინგის ამაღლების საქმეში.

ამ შემთხვევაში ვიზუალიზაცია ემსახურება პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომისა და სხვადასხვა დარგის ექსპერტების აზრის გათვალისწინების უპირატესობის დემონსტრირებას სახელმწიფოს დონის გადაწყვეტილების მიღების დროს.

დასკვნა

მონაცემთა ვიზუალიზაციის ინსტრუმენტებს დიდი ხანია აქტიურად იყენებენ უკვე სტუდენტებიც რეფერატების პრეზენტაციების დროს, რაც მათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში დიდ სამსახურს გაუწევს მათი მუშაობის შეგდეგების, ახალი იდეების ვიზუალურად დემონსტრირების საქმეში თანამშრომლების, სპონსორებისა თუ ბიზნეს პარტნიორების წინაშე.

მუდმივად ცვალებად ბაზარის პირობებში, მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია ხელს უწყობს მოსალოდნელი ცვლილებები,ს პროგნოზირებას, რაც შესაძლებელს ხდის შეირჩეს განვითარების კურსი მომავალი სიახლების გათვალისწინებით.

ლიტერატურა/REFERENCES:

1. Francesca Fantini. Guida alla formazione aziendale nel mondo moderno. 2020 https://www.digitaldictionary.it/blog/guida

2. Zorina I. Secrets of visualization: how to dream so that everything comes true. Scientific approach and practical advice. https://lifehacker.ru/vizualizaciya-zhelanij/. 2020

3. What is visualization and who needs it? https://buro-akzent.ru/biblioteka/article/chto-takoe-biznes-vizualizaciya.html. 2021 ინტერნეტ-რესურსი

4. Business Intelligence: cos'è, come funziona, la sua importanza, esempi e strumenti. Osservatorio digitale 21 April 2022. https://www.ufficiotelematico.it/index.php/risorse/blog/business...

5. Tolordava Zh. The use of video tools in the educational process and consulting. "Economics" 2022 No. 9-10

BUSINESS AND VISUALIZATION

Zhana Tolordava
Doctor of Economics, Scientific Head
of the Educational & Scientific Center of Imitation Modelling
of the Tbilisi I. Javakhishvili State University
tolordava@hotmail.com

RESUME

In present days higher education institutions should be introducing new approaches to teaching, providing the opportunity for students to develop their professional, communicative and creative skills.

In the conditions of the global economy, the main task of universities is to prepare a generation of professionals who will be able to manage the transformed world and the permanent changes that are going on there. That is why universities should take seriously the preparation of professionals of new formation, especially in the fields of management, world economy, and international business, so that university graduates can adapt to the changing world. Visualization is one of the effective tools in this direction.

Visualization (Lat. visualis) is a technique of representation of digital information or physical events, which allows for their visual observation and analysis in a convenient form. To some extent, this enables us to experience indirectly the outcome we want to achieve.

Keywords: visualization, video training, video cases, videotapes of illustrative and thematic content, foresight.